

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა  
ბრალდების შესახებ

„ „ სექტემბერი, 2013 წელი

ქ. თბილისი

„ „ საათი და „ „ წუთი

საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის პროკურორმა ვანო ოქროპირიძემ განვიხილე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს წარმომადგენელი არსებული სისხლის სამართლის N092150313002 საქმე და მხედველობაში მივიღე შემდეგი: საქმეზე შეკრებილია მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ 1968 წლის 10 იანვარს დაბადებულმა ცეზარ შალვას ძე ჩოჩელმა (პ/ნ 06001000766) ჩაიდინა ორგანიზებული ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება.

მანვე ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ე.ი. უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით.

ცეზარ ჩოჩელის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ცეზარ ჩოჩელი 2008 წლის 04 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად დანიშნული იქნა რა დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულად/გუბერნატორად, განიზრახა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის დავით გიორგაძის დახმარებით მოტყუებით დაუფლებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ 100%-იან წილს მისთვის სასურველ ფასად მისი ძმის იაგო ჩოჩელის საკუთრებაში არსებული, ფაქტობრივად მის გამგებლობაში მყოფ, შპს „მიქსორის“ სახელით, ქარხნის მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავლით მოეხდინა შპს „მიქსორის“ მიერ სს „თი ბი სი ბანკიდან“ ქარხნის შესასყიდი სესხის დაფარვა და დარჩენილი თანხით განვითარებინა მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული საწარმოები, რომელთაც დღემდე არ აქვთ დაფარული ქარხნის მიმართ არსებული დავალიანება.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2010 წლის ივლისის თვეში ცეზარ ჩოჩელი დაუკავშირდა შპს „ნიუ ენერჯის“ 100% წილის მფლობელს ნიკოლოზ შაქარიშვილს და განუმარტა, რომ იგეგმებოდა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ 100% წილის პრივატიზება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, რის პარალელურადაც შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოცხადებული იყო საერთაშორისო ტენდერი რკინაბეტონის შპალის შესყიდვის თაობაზე 77 499 000 ლარზე, რომლის მიწოდებაც უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული ტენდერის პირობების თანახმად ქარხნის დირექტორის ზურაბ ჯანგულაშვილის წერილის საფუძველზე ერთეული შპალის ღირებულება გაზრდილი იყო 134,72 ლარიდან 162,02 ლარამდე - 27,3 ლარით, რაც შესასყიდ ფასს 12 940 200 ლარით ზრდიდა, მაშინ როცა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“ 2011-2013 წლებში იგივე მახასიათებლის შპალს შპს „აზერბაიჯანის დემირიოლ სერვისის საქართველოს ფილიალს“ და შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს მუდმივმოქმედ ფილიალს“ აწვდის 139,03 და 140,5 ლარად. იმდენად რამდენადაც საქართველოში რკინაბეტონის შპალის

ერთადერთი მომწოდებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“ და რომელიც აუცილებლად მოიგებდა ზემოხსენებულ საერთაშორისო ტენდერს, ც. ჩოჩელმა ნ. შაქარიშვილს შესთავაზა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ საჯარო აუქციონზე შექმნა დაახლოებით 6 000 000 აშშ დოლარად, რაშიც დაეხმარებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე დავით გიორგაძე. ნ. შაქარიშვილმა ც. ჩოჩელთან შეთანხმებით შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ დაზღვევის მიზნით მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტენდერში შპს „ნიუ ენერჯის“ და ც. ჩოჩელის ძმის იაგო ჩოჩელის საწარმოს შპს „მიქსორის“ სახელით, რადგან იმ შემთხვევაში თუ ქარხანა ვერ მოიგებდა ტენდერს, გამარჯვებული გახდებოდა მათი რომელიმე საწარმო და საჯარო აუქციონზე ქარხნის შესყიდვის შემდეგ, მეტი მოგების მიღების მიზნით ტენდერის პირობებს შეასრულებდა კვლავ ქარხნის საშუალებით.

აღნიშნული ქმედების განხორციელების მიზნით ნიკოლოზ შაქარიშვილმა და ცეზარ ჩოჩელმა შპს „ნიუ ენერჯის“ და შპს „მიქსორის“ სახელით მოამზადეს საერთაშორისო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია და სატენდერო განაცხადი გააკეთეს განაცხადების მიღების ბოლო დღეს, 2010 წლის 20 ივლისს, იმდენად რამდენადაც გაეგოთ იღებდა თუ არა მონაწილეობას ტენდერში მათ გარდა სხვა საწარმო. სატენდერო წინადადების თანახმად შპს „ნიუ ენერჯი“ და შპს „მიქსორი“ რკინაბეტონის შპალის მიწოდებას მოახდენდა უკრაინიდან, შპს „უკრაინა პრომრესურსისგან“. სატენდერო წინადადებების გაცხადების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ შპს „ნიუ ენერჯის“, შპს „მიქსორის“ და შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ გარდა სხვა საწარმო მონაწილეობას არ ღებულობდა, ამიტომ ზეპირ მოსმენაზე შპს „მიქსორი“ არ გამოცხადდა და ტენდერი დაბალი ფასით - 75 763 013 ლარით მოიგო შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანამ“.

რკინაბეტონის შპალის ქარხნის საჯარო აუქციონის საშუალებით თაღლითურად დაუფლებასთან დაკავშირებით ც. ჩოჩელი დაუკავშირდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს დავით გიორგაძეს და შეუთანხმდა შეხვედრაზე ნ. შაქარიშვილთან ერთად. შეხვედრის დროს ც. ჩოჩელს დ. გიორგაძემ განუმარტა, რომ ქარხანას შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ გააჩნდა დაახლოებით 6 000 000 ლარის დავალიანება, რომელიც აუცილებლად ჩამოეწერებოდა და ამასთან ერთად ქარხანას პრივატიზაციის შემდეგ გადაჰყვებოდა რკინაბეტონის შპალის მიწოდებაზე მოგებული ტენდერი. შეხვედრაზე ც. ჩოჩელმა დ. გიორგაძეს ასევე გაუმხილა, რომ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ შექმნას აპირებდა დაახლოებით 6 000 000 აშშ დოლარად და აღნიშნულზე მეტს არ გადაიხდიდა.

ტენდერში მონაწილეობის მიღების პარალელურად ც. ჩოჩელმა და ნ. შაქარიშვილმა მოლაპარაკებები დაიწყეს სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილესთან არჩილ გაჩეჩილაძესთან და შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ბანკი შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ საჯარო აუქციონზე შესაძენად გასცემდა სესხს 7 000 000 აშშ დოლარის ოდენობით.

2010 წლის ივლისის ბოლოს, დავით გიორგაძემ, რომელსაც ც. ჩოჩელთან შეთანხმებით განზრახული ჰქონდა ქარხნის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, დაახლოებით 7 000 000 აშშ დოლარად თაღლითურად გასხვისება, 100% წილის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით საჭირო საშემფასებლო დასკვნის შესადგენად მოიწვია კერძო აუდიტორი ბესიკ დიაკონიძე, რომელსაც დაავალა ზემოხსენებული დასკვნის შედგენა და გააგზავნა ქარხანაში საჭირო დოკუმენტაციის შესასწავლად.

იმისთვის, რომ ქარხანა ც. ჩოჩელს საჯარო აუქციონზე შეეძინა შპს „საქართველოს რკინიგზის“ დავალიანების გარეშე, რომელიც შეადგენდა 6 278 012 ლარს, 2010 წლის 24

ავვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ დავით გიორგაძემ წერილით მიმართა საქართველოს მთავრობას, აცნობა, რომ იგეგმებოდა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ 100% წილის პრივატიზება და სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 6 278 012 ვალის პატიება შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ მიმართ, 2010 წლის 25 აგვისტოს მოწვეული იქნა საქართველოს მთავრობის სხდომა, რომლის გადაწყვეტილებითაც ეკონომიკის სამინისტროს მიეცა თანხმობა შპალის ქარხნისთვის 6 278 012 ლარის დავალიანების ჩამოწერის თაობაზე. იმავე დღეს შპს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანას“ შორის გაფორმდა შეთანხმება ვალის პატიების შესახებ.

ბ. დიაკონიძის მიერ შედგენილი სამემფასებლო დასკვნა, რომელიც დათარიღებული იქნა 2010 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით, ქარხნის 100% წილის საბაზრო ღირებულების განისაზღვრა მოხდა 6 700 000 აშშ დოლარად (12 280 000 ლარი), აღნიშნულ დასკვნაში დ. გიორგაძის დავალებით ბ. დიაკონიძის მიერ არ იქნა გათვალისწინებული 2010 წლის 20 ივლისს ქარხნის მიერ მოგებულ ტენდერზე გაფორმებული 2010 წლის 20 აგვისტოს №შს/10-248 ხელშეკრულება და ამ უკანასკნელის საფუძველზე 20 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს რკინიგზისთვის მიწოდებული საქონლით წარმოშობილი დავალიანება ქარხნის მიმართ 914 085 ლარის ოდენობით, თუმცა გაითვალისწინა 2010 წლის 25 აგვისტოს შეთანხმება ვალის პატიების შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის 100% წილის საბაზრო ღირებულება განსაზღვრა 2010 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით, დებიტორ-კრედიტორების შესახებ ინფორმაცია და ბუღალტრული ბალანსის მონაცემები აიღო 2010 წლის 12 აგვისტოს მდგომარეობით, რითაც ხელოვნურად შეამცირა საწარმოს საბაზრო ღირებულება და აღნიშნული ყალბი დასკვნა ბ. დიაკონიძემ ხელზე გადასცა კვლავ დ. გიორგაძეს.

ბ. დიაკონიძის მიერ შედგენილი ყალბი დასკვნის მიღების შემდეგ, იმავე დღესვე 2010 წლის 25 აგვისტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ დავით გიორგაძემ გამოსცა N1-1/1435 ბრძანება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ 100% წილის საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ 6 800 000 აშშ დოლარად (12 429 040 ლარად), ბიჯი შეადგენდა 50 000 აშშ დოლარს, ხოლო საჯარო აუქციონი ჩაინიშნა 2010 წლის 09 სექტემბერს.

ც. ჩოჩელმა იცოდა რა საჯარო აუქციონის ჩატარებამდე ქარხნის შესაძენად საჭირო თანხის ოდენობა, სს „საქართველოს ბანკთან“ მოლაპარაკების გაუქმების შედეგად, 2010 წლის 02 სექტემბერს მოახდინა სესხის აღება სს „თი ბი სი ბანკიდან“ შპს „მიქსორის“ სახელით 6 900 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთანავე სესხის ქარხნისვე შემოსავლებით დაფარვის მიზნით, სესხის ხელშეკრულებაში პირდაპირ იქნა ჩადებული პირობა, რომ იმ შემთხვევაში თუ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“ პრივატიზაციის შემდეგ დარჩებოდა ცალკე იურიდიულ პირად და არ შეერწყმებოდა შპს „მიქსორს“, პრივატიზაციიდან 2010 წლის 31 ოქტომბრამდე ვადაში სესხი გაიცემოდა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანაზე“ და მოხდებოდა შპს „მიქსორის“ სესხის რეფინანსირება, თუმცა უკვე დამტკიცებული სესხის ქარხანაზე გაცემა არ მომხდარა და მიქსორის სესხის ნაწილი 3 267 000 აშშ დოლარი დაფარული იქნა 2011 წლის 02 აპრილს კვლავ ქარხნის მიერ მიქსორზე გაცემული დივიდენდიდან, ხოლო დარჩენილი დავალიანება, დაახლოებით 5 000 000 აშშ დოლარი დღემდე არ არის დაფარული.

2010 წლის 09 სექტემბერს საჯარო აუქციონში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „მიქსორმა“, რომელმაც ქარხანა შეიძინა 6 850 000 აშშ დოლარად (12 679 350 ლარი), თანხის სრულად დაფარვა მოხდა 2010 წლის 21 სექტემბერს, რა დროსაც მოხდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა.

შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ ც. ჩოჩელის თაღლითურად დაუფლებით, რაც გამოიხატა ბ. დიაკონიძის მიერ შედგენილ დასკვნაში 2010 წლის 20 აგვისტოს Nშს/10-248 ხელშეკრულების (75 763 013 ლარზე) და შპს „საქართველოს რკინიგზის“ დავალიანების (914 085 ლარის) გაუთვალისწინებლობით, სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა 19 696 764,33 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

**აღნიშნული ქმედებით ცეზარ ჩოჩელმა ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.**

ცეზარ ჩოჩელმა მოახდინა რა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ 100% წილის თაღლითურად დაუფლება მისთვის სასურველ ფასად, ქარხნის შემოსავლები მოახმარა მისი ოჯახის საკუთრებაში არსებულ სხვადასხვა საწარმოების განვითარება-ინვესტირებას, კერძოდ 2011 წლის 13 ივლისს ქარხნის სახსრებით და მისი სახელით შეიძინა სს „ქართული ლუდის კომპანიის“ ს/ნ 404900737 (ლუდსახარში ზედაზენი) 70% წილი, რის საფუძველზეც შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანამ“ 3 წლის განმავლობაში, როგორც ფულადი ისე არაფულადი შენატანით კაპიტალში უნდა შეიტანოს 49 531 930 ლარი. 2010 წლის 21 სექტემბრიდან 2013 წლის 20 მარტამდე პერიოდში ქარხანას ლუდსახარში ზედაზენისთვის შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით მიწოდებულად უფიქსირდება 258 197 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) სხვადასხვა საქონელი, ხოლო საბანკო ამონაწერების თანახმად იმავე პერიოდში გადარიცხულად უფიქსირდება 30 088 821 ლარი. აღნიშნული თანხის ნაწილი 2011 წლის 01 დეკემბრიდან 2012 წლის 09 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში - 9 392 400 ევრო სესხის სახით იქნა აღებული სს „თი ბი სი ბანკიდან“, საიდანაც დაფარულია მხოლოდ 2 545 508 ევრო, დარჩენილი თანხა კი ქარხანას ერიცხება დავალიანებად.

გარდა ამისა, 2011 წლის 10 იანვრიდან 2013 წლის 14 იანვრის ჩათვლით პერიოდში შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ მიერ მოგების სახით მიღებული თანხიდან შპს „მიქსორზე“ გაცემული იქნა დივიდენდის სახით 12 063 644 ლარი, საიდანაც 5 500 000 ლარით დაიფარა შპს „მიქსორის“ სესხის ნაწილი, 2 004 205 ლარი გაცემული იქნა სამეურნეო ხარჯის სახით, 1 619 312 ლარი გატანილი იქნა შპს „მიქსორის“ შესყიდვების მენეჯერის ირაკლი აბაშიძის მიერ, ხოლო 804 710 ლარი კი შპს „მიქსორის“ შესყიდვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ მერებაშვილის მიერ. შპს „მიქსორიდან“ 2012 წლის ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ც. ჩოჩელის ძმაზე იაგო ჩოჩელზე გაცემული იქნა დივიდენდის სახით 4 456 987 ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით), ხოლო 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ივლისის ჩათვლით ლაშა ჩოჩელზე გაცემული იქნა 533 937 ლარის დივიდენდი.

2010 წლის 21 სექტემბრიდან, მას შემდეგ რაც შპს „მიქსორმა“ მოახდინა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ შეძენა, შპს „ბარამბოს“ (შპს „ბარამბო“ დირექტორი არის ც. ჩოჩელის ძმა იაგო ჩოჩელი, ხოლო 66,25% წილის მფლობელი არის ც. ჩოჩელის და მარი ჩოჩელი) განვითარება-მოწყობისთვის საბანკო ანგარიშზე გადაურიცხა 3 851 455 ლარი და იმავე პერიოდში მიაწოდა 2 480 250 ლარის სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარები, რომლის ღირებულებაც შპს „ბარამბოს“ ანაზღაურებული არ აქვს.

შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ თაღლითურად დაუფლების შემდეგ მიღებული თანხებით მოახდინა ასევე შპს „ბერტასთვის“, რომლის დამფუძნებელიც 23% წილით არის იაგო ჩოჩელი, 1 189 062 ლარის ღირებულების ტექნიკა-დანადგარების მიწოდება, რომლის ღირებულებაც ასევე არ აქვს ანაზღაურებული შპს „ბერტას“.

აღნიშნული ქმედებით ცეზარ ჩოჩელმა მოახდინა 49 931 429 ლარის ოდენობის ფულადი თანხის ლეგალიზება.

*აღნიშნული ქმედებით ცეზარ ჩოჩელმა ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.*

ცეზარ ჩოჩელის მიერ აღნიშნულ დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იძლევა შემდეგ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა: ფორმა N1, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 15 მარტის N2659 წერილი თანდართული მასალებით, 2013 წლის 15 მარტის შუამდგომლობა, 2013 წლის 16 მარტის N11ა-2139-13 განჩინება, სს „საპარტნიორო ფონდის“, შპს „საქართველოს რკინიგზი“-ს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართვის წერილები, 2013 წლის 19, 20, 27, 28 მარტის ამოღების ოქმები და ამოღებული დოკუმენტაცია, 2013 წლის 20 მარტის შუამდგომლობები და იმავე თარიღით დათარიღებული N11ა/2210-13 განჩინება და 21 მარტის N11ა/2209 განჩინება, 2013 წლის 21 მარტის ოქმები, 2013 წლის 21 მარტის N2146/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 25 მარტის, 01 და 02 აპრილის ამოღების ოქმები და ამოღებული დოკუმენტაცია, 2013 წლის 01 აპრილის წერილი და შუამდგომლობა, იმავე თარიღით დათარიღებული N11ა/2488 განჩინება, 2013 წლის 02 აპრილის 2500/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 05, 22 აპრილის, 12 და 24 ივლისის ამოღების ოქმები და ამოღებული დოკუმენტაცია, საქართველოში რეგისტრირებული ბანკების, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის გაგზავნილი წერილები და შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ კორესპონდენცია, 2013 წლის 5092/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 19, 28 მარტის და 14 აპრილის დათვალიერების ოქმები თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 03 აპრილის ელ.ფოსტის დათვალიერების ოქმი თანდართული დოკუმენტებით, ადვოკატის ორდერები და ხელწერილები, 2010 წლის 19 აგვისტოს N659 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, 2013 წლის 01 აპრილის N2391/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 19 აგვისტოს N2989 წერილი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენცია, 2013 წლის 24 აპრილის N4119 წერილი, 2013 წლის 22 აპრილის N3063/15-04 წერილი, 2013 წლის 26 აპრილის N4194 წერილი თანდართული ბ. დიაკონიძის დასკვნით, 2013 წლის 08 აპრილის N15-04-03-1713 წერილი, 2013 წლის 05 აპრილის დადგენილება რევიზიის ჩატარებაზე, 2013 წლის 20 მაისის ელ. ფოსტის დათვალიერების ოქმი თანდართული დოკუმენტებით, შპს „მიქსორის“ შემოწმების აქტი, 2010 წლის 03 თებერვლის Nშს/10-024 და 16 აპრილის Nშს/10-084 და 20 აგვისტოს Nშს/10-248 ხელშეკრულება თანდართული დოკუმენტაციით, 2010 წლის 11 მარტის ხელშეკრულება შპს „დემირიოლ სერვისთან“, შპს „საქართველოს რკინიგზისთვის“ და შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ მიერ გამოწერილი ა/ფ-ები, შპს „მიქსორის“ და შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ წესდება, ბალანსი, 2013 წლის 25 აპრილის N4177 წერილი თანდართული მასალებით, 2013 წლის 20 მარტის N2079/15-04-03/1 წერილი და 20 მარტის დადგენილება ინვენტარიზაციის შესახებ, 2013 წლის 13 მაისის N4613 წერილი და ინვენტარიზაციის ოქმი თანდართული დოკუმენტებით, შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ 2010 წლის 17 აგვისტოს N274 წერილი, 2010 წლის 25 აგვისტოს N33-693/2-10 წერილი, 2010 წლის 25 აგვისტოს N16/2543 და N16/2543დ წერილი, 2010 წლის 24 აგვისტოს N16/2533 წერილი, 2010 წლის 20, 31 ივლისის და 25 აგვისტოს დასკვნა, 2010 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით დებიტორ-კრედიტორების შესახებ ინფორმაცია, 2010 წლის 25 აგვისტოს მთავრობის გადაწყვეტილება და ვალის პატიების შესახებ შეთანხმება, 2010 წლის 25 აგვისტოს დ. გიორგაძის N1-1/1435 ბრძანება თანდართული დოკუმენტებით, შპს „მიქსორის“ განაცხადი საჯარო აუქციონზე, მონაწილის ბილეთი, 2010 წლის 09 სექტემბრის ოქმი ფორმა N56, სასამსახურო ბარათები, გადახდის ქვითრები, 2010 წლის 21 სექტემბრის N1-1/1550 ბრძანება და საკუთრების მოწმობა, ნასყიდობის ხელშეკრულება, 2013 წლის 22 მაისის N3975/15-06 წერილი,

2013 წლის 03 ივნისის დადგენილება სასაქონლო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, 2013 წლის 31 მაისის N4227/15-04-03/1 და N4228/15-04-03/1 წერილები, 2013 წლის 06 ივნისის N80857/15 N80865/15 წერილები თანდათული მასალებით, 2010 წლის 28 ივლისის N201 ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები, ა/ფ-ები, 2013 წლის 04 ივნისის მიმართვის წერილი და დადგენილება რევიზიის დანიშვნის თაობაზე, სსიპ შემოსავლების სამსახურის კორესპონდენცია, მიღება-ჩაბარების აქტი, 2013 წლის 06 ივნისის N81955/15 წერილი თანდართული მასალებით, 2013 წლის 06 ივნისის შუამდგომლობა და 2013 წლის 07 ივნისის განჩინება, 2013 წლის 07 ივნისის N15-04-03/1/44466 და N15-04-03/1/44459 წერილები, შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ კამერალური შემოწმების აქტი თანდართული დოკუმენტებით, უწყებები, 2013 წლის 11 ივნისის ამოღების ოქმები თანდართული ინფორმაციით, 2013 წლის 05 ივნისის N81627/15 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 18 ივნისის დათვალიერების ოქმი თანდართული 2010 წლის 29 ივლისის ხელშეკრულებით და 2010 წლის 03 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტით, 2013 წლის 18 ივნისის ოქმი და 2010 წლის 17 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტი, გაზეთ 24 საათიდან ამონაწერები, საბანკო ამონაწერები, 2013 წლის 18 ივნისის დათვალიერების ოქმი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 21 ივნისის დათვალიერების ოქმი თანდართული 2010 წლის 17 აგვისტოს ინვოისით, 2013 წლის 20 ივლისის დათვალიერების ოქმი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 15 ივლისის N15-04-03-3055 წერილი, 2013 წლის 20 ივლისის დათვალიერების ოქმი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 02 ივლისის N15-03-2927 თანდართული დოკუმენტებით და 2013 წლის 19 ივლისის N15-03-3113 წერილი, 2013 წლის 17 ივლისის N15-04-03-2742 წერილი, 2013 წლის 01 ივლისის N5931 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 28 ივნისის N4824/15-04 წერილი, 2013 წლის 24 ივლისის N5350/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 18 ივლისის N5220/15-04-03/1, 2013 წლის 23 ივლისის N5335/15-04-03 და N5321/15-04-03/1 წერილები, 2013 წლის 24 ივლისის N6588 წერილები, 2013 წლის 19 ივნისის N4618/15-04-03/1 და N5563 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 19 ივნისის N4629/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 21 ივნისის N5635 წერილი თანდართული მასალებით, 2013 წლის 08 აგვისტოს ამოღების ოქმი შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ სესხის დოკუმენტაციითა და თანდართული მასალებით, 2013 წლის 30 ივლისის დათვალიერების ოქმი თანდართული დივიდენდის დოკუმენტებით, 2013 წლის 26 ივლისის N5401/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 31 ივლისის N6762 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 01 აგვისტოს N5510/15-04-03/1 წერილი და 2013 წლის 08 აგვისტოს N6990 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 07 აგვისტოს N6981 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 06 აგვისტოს N6942 წერილი, 2013 წლის 30 ივლისის N5455/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 02 აგვისტოს N6796 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 02 აგვისტოს N5525/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 06 აგვისტოს N6967 წერილი, 2013 წლის N26 ივლისის N6627 წერილი თანდართული ექსპერტიზის დასკვნით, 2013 წლის 01 აგვისტოს დათვალიერების ოქმი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 31 ივლისის N6726 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 01 აგვისტოს N6767 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 18 სექტემბრის N7967 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 12 სექტემბრის N6223/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 16 სექტემბრის N7950, 7918 და 7929 წერილები თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 13 სექტემბრის შუამდგომლობა და იმავე თარიღით დათარიღებული N11ა/7054 განჩინება, 2013 წლის 17 სექტემბრის N6308/15-04-03/1 წერილი, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“, შპს „ლარმაქსის“, შპს „ბერტას“, შპს „ბარამბოს“, შპს „მიქსორის“ და სს „ქართული ლუდის კომპანიის“ შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურებით, 2013 წლის 13 სექტემბრის N7915 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 10 სექტემბრის

N6150/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 13 აგვისტოს დათვალიერების ოქმი თანდართული ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს მუდმივმოქმედი ფილიალის და აზერბაიჯანის დემიროლ სერვისის საქართველოს ფილიალის ხელშეკრულებებით და ფოტომასალით, 2013 წლის 11 სექტემბრის N6187/15-04-03/1 წერილი, 2013 წლის 25 ივლისის N5372 წერილი, ნასამართლეობების შესახებ ცნობა დ. გიორგაძის და ც. ჩოჩელის, 2013 წლის 12 სექტემბრის N7853 და 6224/15-04-03/1 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 13 სექტემბრის N7883 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 06 სექტემბრის N15-03-3741 წერილი თანდართული რევიზიის აქტით, 2013 წლის 03 სექტემბრის N15-04-03-3680 წერილი თანდართული დადგენილებით რევიზიის დანიშვნის შესახებ და 2013 წლის 11 სექტემბრის N15-03-3785 წერილი თანდართული რევიზიის აქტით, 2013 წლის 09 სექტემბრის N6136/15-04-03 წერილი, 2013 წლის 12 სექტემბრის N7862 წერილი თანდართული დოკუმენტებით, 2013 წლის 17 სექტემბრის დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ, 2013 წლის 18 სექტემბრის N6339/15-04-03/1 და N6347/15-04-03/1 წერილი, მოწმეების თამთა ლომიას, გიორგი ხუბუას, ბესიკ დაკონიძის, მინდია ტაბალუას, ზაზა ედიშერაშვილის, ავთანდილ კურტანიძის, ზურაბ ჯანგულაშვილის, ნუგზარ ქუნთელიას, ივანე ღარიბაშვილის, დავით ხეცურიანის, ალექსანდრე ხოჯევანიშვილის, დავით გიორგაძის, ირაკლი მარჯანიშვილის, ანა როსტომაშვილის, ალექსანდრე ბარათაშვილის, ნიკოლოზ შაქარიშვილის, ზურაბ და აკაკი ჯიქიების, არჩილ გაჩეჩილაძის, სულხან გვალიას, დავით მურცხვალაძის, ელიზბარ შელიას, გელა კელაპტრიშვილის, ზვიად ვაჩაძის, გიორგი შიხაშვილის, გიორგი ტაბახმელაშვილის, ნუკრი ვაჩიშვილის, ლევან ზოდელავას, თეიმურაზ ცქიტიშვილის, ნიკოლოზ მერებაშვილის, ირაკლი აბაშიძის, გიორგი ქაჯაიას, შოთა ივანაშვილის, ნინო შერაზადიშვილის, ზურაბ მექვაბიშვილის, გიორგი ხოდელის, გიორგი ფაცაცას, ანა გრძელიშვილის, ვაჟა ჩოფიკაშვილის, გიორგი ზაზაშვილის, სოფიო მალანიას, ცეზარ და იაგო ჩოჩელეების დაკითხვის ოქმები და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით და 166-169-ე მუხლებით, –

### და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ცეზარ შალვას ძე ჩოჩელი (კ/506001000766) – დაბადებული 1968 წლის 10 იანვარს, ქართველი, საქართველოს მოქალაქე, დაოჯახებული, რეგისტრირებული ახალგორი ბაღების ქ. N 12 – მიცემულ იქნას პასუხისგებაში დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **180-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.**

2. ცეზარ ჩოჩელს ბრალდება წარედგინოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესებისა და ვადების დაცვით, უფლება-მოვალეობათა განმარტებით, მათი ნუსხისა და ამ დადგენილების ასლის გადაცემით.

3. ბრალდებულისათვის დადგენილების გაცნობა დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქალაქის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს გამომძიებელს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის  
დეპარტამენტის პროკურორი

ვანო ოქროპირიძე

დადგენილება გამომეცხადა 2013 წლის ,,     ” სექტემბერი, ---- საათსა და ---- წუთზე, გავეცანი პირადად.

ჩემი, როგორც ბრალდებულის, უფლებები და მოვალეობები განმემატა, მათი წერილობითი ნუსხა, აგრეთვე ამ დადგენილების ასლი გადმომეცა.

ბრალდებული

ცეზარ ჩოჩელი

ადვოკატი

-----

ბრალდება წავუყენე, უფლებები და მოვალეობები განვუმარტე, მათი ნუსხა და ამ დადგენილების ასლი გადავეცი.

გამომძიებელი:

ნინო ქავთარაძე